



# ჩემი ფინანსური მეგზური








## ფინანსური უსაფრთხოება

## 01
## ფინანსური უსაფრთხოება თქვენს ხელშია



მიუხედავად იმისა თანხას ნაღდი სახით ფლობთ, თუ საბანკო ანგარიშებზე ინახავთ, მათი უსაფრთხოება დიდწილად სწორედ თქვენზეა დამოკიდებული. ფინანსური პროდუქტებისა თუ მომსახურების სწორი გამოყენებით თქვენ თქვენს ფინანსებს თაღლითებისგან იცავთ.

## 02
## რაც კარგი ჩანს, ყოველთვის კარგი არაა



ფინანსურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კითხვები დასვით ყოველთვის, როდესაც შემოთავაზება ზედმეტად კარგი გეჩვენებათ. ექსკლუზიური შემოთავაზებების უკან შესაძლოა, საფრთხე იყოს.

## 03
## თაღლითობის „ნებართვას“ მომხმარებელი გასცემს




საბანკო ბარათის მონაცემები, ინტერნეტბანკის მომხმარებელი და პაროლი, ბარათის პინკოდი, ნებისმიერი სისტემის პაროლი - ეს იმ მონაცემთამცირე ჩამონათვალია, რომლებიც მხოლოდ მომხმარებელმა უნდა იცოდეს. მესამე პირისთვის ამ ინფორმაციის გადაცემა თაღლითობის რისკს ზრდის.

## 04
## სიფრთხილე დაგიცავთ



ნაცნობი თუ უცნობი ორგანიზაციებისგან გამოგზავნილი ბმულები თქვენი მონაცემების დასადასტურებლად, ექსკლუზიური შემოთავაზებები, უცნობების მიერ ქუჩაში თქვენი ტელეფონის ან სხვა მოწყობილობის გამოყენების ნებართვა თითქოს ყოველდღიურობის ნაწილია. შეხედეთ ყველაფერს სიფრთხილით, გადაამოწმეთ და დააზღვიეთ რისკები.

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia
ფინედუ